განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტი ეფუძნება:

სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე 2026 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულ თავისუფალ ნაშთს, მათ შორის: ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 დეკემბრის №2168 განკარგულებით; ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 3 ივლისის №1068 განკარგულებით; ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის №1106 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 4 დეკემბრის №2028 განკარგულებით; საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებით; საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებით; საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით; საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სენაკის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ მიზნობრივ ტრანსფერს.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 დეკემბრის №2168 განკარგულებით ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართელოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 85269,11(ოთხმოცდახუთი ათას ორასსამოცდაცხრა ლარი და 11 თეთრი) ლარს, მათ შორის: ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატარა შხეფის უბანში გზის რეაბილიტაცია 5984,48 (ხუთი ათას ცხრაასოთხმოცდაოთხი ლარი და 48 თეთრი) ლარი; ქალაქ სენაკში ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 2170(ორი ათას ასსამოცდაათი) ლარი; სანკტ პეტერბურგის ქუჩის რეაბილიტაცია(ჟ.შარტავას ქუჩიდან თბილისის -ქუჩამდე) 1764(ერთი ათას შვიდასსამოცდაოთხი) ლარი; ლემაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 67691,63(სამოცდაშვიდი ათას ექვსასოთხმოცდათერთმეტი) ლარი; ქალაქ სენაკში კალისტრატე გრიგოლიას ქუჩის რეაბილიტაცია 2081(ორი ათას ოთხხმოცდაერთი) ლარი; ქ. სენაკი, ლადო ასათიანის ქუჩის რაებილიტაცია 5578(ხუთი ათას ხუთასსამოცდათვრამეტი) ლარი; ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი”-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (სახელმწიფო ბიუჯეტი) 85269,11(ოთხმოცდახუთი ათას ორასსამოცდაცხრა ლარი და 11 თეთრი) ლარის ოდენობით და შესაბამისად გაიზარდოს გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 85269,11(ოთხმოცდახუთი ათას ორასსამოცდაცხრა ლარი და 11 თეთრი) ლარით.

,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 3 ივლისის №1068 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო 4 033 000(ოთხი მილიონ ოცდაცამეტი ათასი) ლარი. სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1 იანვრისათვის თავისუფალი ნაშთი შეადგენს 187 559,57(ასოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასორმოცდაცხრამეტი ლარი და 57 თეთრი) ლარს; ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი''-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (სახელმწიფო ბიუჯეტი) 187 559,57(ასოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასორმოცდაცხრამეტი ლარი და 57 თეთრი) ლარის ოდენობით და შესაბამისად გაიზარდოს სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 187 559,57(ასოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასორმოცდაცხრამეტი ლარი და 57 თეთრი) ლარით.

,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის №1106 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 4 დეკემბრის №2028 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო 46200(ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარი. სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1 იანვრისათვის თავისუფალი ნაშთი შეადგენს 46200(ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი''-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (სახელმწიფო ბიუჯეტი) 46200(ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარის ოდენობით და შესაბამისად გაიზარდოს სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08) სხვა ხარჯების მუხლი 46200(ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებით მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნულისათვის გამოყოფილი თანხიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1 იანვრისათვის თავისუფალი ნაშთი შეადგენს 190479,64 (ასოთხმოცდაათი ათას ოთხასსამოცდაცხრამეტი ლარი და 64 თეთრი) ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი''-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (სახელმწიფო ბიუჯეტი) 190479,64 (ასოთხმოცდაათი ათას ოთხასსამოცდაცხრამეტი ლარი და 64 თეთრი) ლარის ოდენობითდა შესაბამისად გაიზარდოს საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 190479,64 (ასოთხმოცდაათი ათას ოთხასსამოცდაცხრამეტი ლარი და 64 თეთრი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებით სენაკის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლებისათვის 106 ტონა საწვავი ბრიკეტების შესაძენად გამოეყო 99640(ოთხმოცდაცხრამეტი ათას ექვსასორმოცი) ლარი. გამოყოფილი თანხიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1

იანვრისათვის თავისუფალი ნაშთი შეადგენს 41360(ორმოცდაერთი ათას სამასსამოცი) ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი''-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (სახელმწიფო ბიუჯეტი) 41360(ორმოცდაერთი ათას სამასსამოცი) ლარის ოდენობით და შესაბამისად გაიზარდოს საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 41360(ორმოცდაერთი ათას სამასსამოცი) ლარით.

,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის'' ინიციატივის განხორციელების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით გამოეყო 349 665 (სამასორმოცდაცხრა ათას ექვსასსამოცდახუთი) ლარი. განკარგულების შესაბამისად ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 07 ოქტომბრის N40.402528018 ბრძანების საფუძველზე წარმოდგენილი იქნა შერჩეული პროექტი: ქალაქ სენაკში, ცენტრალურ ნაწილში (ს/კ 44.01.31.648), თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობის თაობაზე. გამოყოფილი თანხიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1 იანვრისათვის თავისუფალი ნაშთი შეადგენს 268641,05(ორასსამოცდარვა ათას ექვსასორმოცდაერთი ლარი 05 თეთრი) ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი''-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (სახელმწიფო ბიუჯეტი) 268641,05(ორასსამოცდარვა ათას ექვსასორმოცდაერთი ლარი 05 თეთრი) ლარის ოდენობით და შესაბამისად გაიზარდოს კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 05) 268641,05(ორასსამოცდარვა ათას ექვსასორმოცდაერთი ლარი 05 თეთრი) ლარით.
საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მ/წლის 1 იანვრისათვის თავისუფალი ნაშთი შეადგენს 23 626,34 (ოცდასამი ათას ექვსასოცდაექვსი ლარი და 34 თეთრი) ლარს, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება (ადგილობრივი ბიუჯეტი) 23 626,34 (ოცდასამი ათას ექვსასოცდაექვსი ლარი და 34 თეთრი) ლარის ოდენობით და შესაბამისად გაიზარდოს: კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 800(რვაასი) ლარით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 16) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 6115,05 (ექვსი ათას ასთხუთმეტი ლარი 05 თეთრი) ლარი; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01) სუბსიდიის მუხლი 16 711,29(თექვსმეტი ათას შვიდასთერთმეტი ლარი და 29 თეთრი) ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბადრი ქუთელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია